საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/81 "17" ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. ლობჟანიძის ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, გიორგი ლობჟანიძე 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

გიორგი ლობჟანიძის ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვლის №1/6 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 14 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის გიორგი ლობჟანიძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[2] მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 29 მარტს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

გიორგი ლობჟანიძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 21-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 15 წლისა და 7 თვის გამოცდილება. იგი 2006-2017 წლებში იყო ჯავის რაიონული და მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ გიორგი ლობჟანიძეს გაესაუბრნენ 2021 წლის 2 ივნისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი გიორგი ლობჟანიძე შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

გიორგი ლობჟანიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 10-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო 2-მა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრთა მიერ გიორგი ლობჟანიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 929 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 77.42%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2021 წლის 17 ივნისს ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო, გიორგი ლობჟანიძემ მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 2 კანდიდატი - 1 ყოფილი მოსამართლე და 1 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. გზირიშვილი ალექსანდრე - 0 ხმა
2. ლობჟანიძე გიორგი - 11 ხმა.

1 ბიულეტენი გაბათილდა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატ გიორგი ლობჟანიძის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესდა გიორგი ლობჟანიძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი